საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტრო
MINISTRY OF ENVIRONMENTAL PROTECTION AND NATURAL RESOURCES OF GEORGIA
ლიცენზიებისა და ნებართვების დეპარტამენტი
DEPARTMENT OF LICENSES AND PERTMITS

საქართველო, 0114, თბილისი, გულუას ქნა,; ტელ: 27 57 08 ფაქსი: , E-mail:ecoegzam@caucasus.net

ვ ა მ ტ კ ი ც ე ბ
ლიცენზიებისა და ნებართვების
დეპარტამენტის უფროსი

ირაკლი კვაშილავა
(სახელი, გვარი)

ბ. ა.

(ხელმოწერა)

სახელმწიფო ეკოლოგიური ექსპერტიზის
დასკვნა პროექტზე

№ __64_ ___

"__24 __" __05____ 2006 წ.

I. საერთო მონაცემები

1. პროექტის დასახელება –ასფალტ-ბეტონის ქარხანა, ინერტული მასალების სამსხვრევ-დამხარისხებელი საამქრო და ბეტონის კვანძი.
2. ინვესტორის დასახელება და მისამართი –შ.პ.ს „შარა-გზამშენი პირველი", ხობის რაიონი.
3. განხორციელების ადგილი –ქალაქი ხობი, სახოკიას ქ. №1
4. განაცხადის შემოსვლის თარიღი -26.04.06
5. მონაცემები პროექტის შემდგენელის შესახებ –შ.პ.ს. „გამა"

II. ძირითადი საპროექტო გადაწყვეტილებანი

გარემოზე ზემოქმედების ნებართვის მიღების მიზნით, სახელმწიფო ეკოლოგიურ ექსპერტიზაზე განსახილველად წარმოდგენილია შ.პ.ს. „შარა–გზამშენი პირველი"-ს მიერ ხობის რაიონში საწარმოო ობიექტის „ასფალტ-ბეტონის ქარხანა, ინერტული მასალების სამსხვრევ-დამხარისხებელი საამქრო და ბეტონის კვანძი"-ს გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიში.

წარმოდგენილ გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშში განხილულია ასფალტ-ბეტონის ქარხნის, ბეტონის კვანძის, ინერტული მასალების სამსხვრევ–დამხარისხებელი საამქროს ამოქმედება.

ცენტრალური საავტომობილო ტრასიდან საწარმოს განთავსების ტერიტორია დაცილებულია 0,8 კმ-ით, ხოლო რკინიგზის სადგურიდან 2,0 კმ-ით. უახლოესი დასახლებული პუნქტია ქ. ხობი, რომლის დაცილების მანძილი შეადგენს 1,0 კმ-ს, აღმოსავლეთის მიმართულებით 1,8 კმ-ით, ჩრდილოეთის მიმართულებით 1,5 კმ-ით და სამხრეთის მიმართულებით 2,5 კმ-ით. უახლოესი ბუნებრივი წყალსატევია მდინარე ხობის წყალი, დაცილება შეადგენს 450-600 მეტრს.

საქმიანობის მიზანს წარმოადგენს წლის განმავლობაში 18 000 ტონა ასფალბეტონის ნარევის და 19 000 ტონა ბეტონის ნარევის დამზადება.
მათ შორის: მსხვილმარცვლოვანს 55,6% (ქვედა შრის დასაგებად) და წვრილმარცვლოვანს 44,5% (ზედა შრის დასაგებად). ასფალტბეტონის წარმოებისათვის გამოყენებულია კრემენჩუგის ქარხნის „კრედმაშის" (უკრაინა) გამოშვების დს-117 მარკის ასფალტშემრევი მოწყობილობა. გარდა ამისა საწარმოს ტერიტორიაზე გათვალისწინებულია ბეტონის ნარევის დამამზადებელი საამქროს მოწყობა. ბეტონის დამამზადებელ საამქროს მოემსახურება ბეტონშემრევი, წარმადობით 28 000ლ/სთ.

საწარმო აღჭურვილია ნედლეულისა და მასალების მიმღები ბუნკერებით, ავზებით, საცავებით, მოწყობილია ღია საწყობები. ინერტული მასალის მიწოდება დაგეგმილია მათ საკუთრებაში არსებული კარიერიდან.

ასფალტ-ბეტონის წარმოების ტექნოლოგიური ციკლი ითვალისწინებს ბითუმის გაცხელებას და მიწოდებას შემრევში, რომელსაც ემატება საშრობ დოლში გამომშრალი ცხელი ღორღი და ქვიშა, მინერალური ფხვნილი. ცემენტბეტონის მომზადება ხდება არატიპიურ, იძულებითი არევის ბეტონშემრევში. ინერტული შემავსებლის მისაღებად დამონტაჟებულია სამსხვრევ–მახარისხებელი დანადგარი, რომლის ტექნოლოგიური პროცესი ხორციელდება წყლის დაპკურებით ანუ სველი წესით, რაც გამორიცხავს ჰაერის დამტვერიანებას ამ ციკლში.

საწარმოს ექსპლუატაციის პროცესში ატმოსფერული ჰაერის ხარისხზე შესაძლო მავნე ზემოქმედებას ადგილი ექნება ნავთობის ნახშირწყალბადების წვისა და ბითუმის გახურების დროს გამოყოფილი პროდუქტების და არაორგანული მტვრის გამოყოფის შედეგად (ეს უკანასკნელი წარმოიქმნება ინერტული მასალების ჩატვირთვის ადგილებში). ემისიის სახეობები იქნება: არაორგანული მტვერი, აზოტის ოქსიდი და დიოქსიდი, ჭვარტლი, გოგირდის დიოქსიდი, ნახშირბადის მონოოქსიდი, ვანადიუმის ოქსიდი. მავნე ნივთიერებათა გაბნევის ანგარიშის შედეგების თანახმად, სანიტარულ-დამცავი ზონის საზღვართან (280-525 მ მიმართულების მიხედვით) მათი კონცენტრაციები იქნება ზდკ-ზე ნაკლები.

წყლის მოხმარების შედეგად, საწარმო წელიწადში მოიხმარს 10923 $მ^3$ წყალს ტექნიკური დანიშნულებისათვის და 800 $მ^3$ სასმელ–სამეურნეო მიზნებისათვის. წყალაღება მოხდება საკუთარი შახტური ჭიდან და ქ. ხობის სასმელი წყალმომარაგების სისტემიდან. ჩამდინარე წყლები, რომელიც წარმოიქმნება ინერტული მასალის დამსხვრევა-დახარისხების

პროცესში და შეიცავს მყარ შეწონილ ნაწილაკებს, ორსაფეხურიანი დალექვის შემდეგ მიუერთდება მდ. ხობისწყალს, რომელიც დაშორებულია საწარმოდან 700-800 მ-ით.

საწარმოს ექნება მხოლოდ საყოფაცხოვრებო ნარჩენები, რომლებიც გაიზიდება პერიოდულად ქ. ხობის სპეცავტომეურნეობასთან გაფორმებული ხელშეკრულების საფუძველზე. საწარმოო ნარჩენების დაგროვებას ადგილი არ აქვს, ვინაიდან გაწმენდის შედეგად მიღებული ნარჩენი უბრუნდება საწარმოო პროცესს.

ასფალტბეტონის, ბეტონის კვანძის და სამსხვრევ–დამხარისხებელი დანადგარის მუშაობით გამოწვეული ხმაური გაზომილია და საცხოვრებელი ზონის ტერიტორიაზე არ აღემატება ნორმატიული აქტით გათვალისწინებულ დონეს.

გარემოზე ზემოქმედების ანგარიშში დეტალურად არის აღწერილი დაგეგმილი საქმიანობის ტერიტორიის ფიზიკური და ბიოლოგიური გარემო, სოციალურ-ეკონომიკური პირობები, ბუნებრივ რესურსებთან და დაცულ ტერიტორიებთან ერთად.

III. შენიშვნები

1. დამუშავდეს და დამტკიცდეს მონიტორინგის/თვითმონიტორინგის კონკრეტული გეგმა მასზე პასუხისმგებელი ფიზიკური ან/და იურიდიული პირების მითითებით.
2. დაცული იქნას სანიტარული დამცავი ზონის საზღვრები.
3. დაზუსტდეს სანიტარულ-დამცავი ზონის საზღვარი საწარმოს ამუშავების შემდეგ, გარემოს მონიტორინგის ფაქტობრივი მონაცემების საფუძველზე.
4. დამუშავდეს და დამტკიცდეს ავარიულ სიტუაციებზე რეაგირების კონკრეტული გეგმა მის შესრულებაზე პასუხისმგებელი იურიდიული ან/და ფიზიკური პირის მითითებით;
5. გათვალისწინებული იქნეს ღონისძიებები, რომლებიც უზრუნველყოფს მომსახურე პერსონალის და ტექნიკის უსაფრთხოებას.
6. საწარმოს მუშაობის პერიოდში გატარდეს ატმოსფერულ ჰაერში გაფრქვეული მავნე ნივთიერებების შემარბილებელი ღონისძიებები;

IV. დამატებითი პირობები

1. ობიექტის ექსპლუატაციაში გაშვების მზადყოფნასთან დაკავშირებით შექმნილი მიმღები კომისიის შემადგენლობაში გათვალისწინებული იქნას საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს წარმომადგენლის მონაწილეობა;

2. პროექტით გათვალისწინებული სამუშაოების მიმდინარეობისა და დასკვნაში მოყვანილი შენიშვნების შესრულების შესახებ, წარდგენილ იქნას ანგარიში გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროში საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად;

V. დასკვნა

შ.პ.ს „შარა-გზამშენი პირველი"-ს მიერ გარემოზე ზემოქმედების ნებართვის მიღების მიზნით სახელმწიფო ეკოლოგიურ ექსპერტიზაზე წარმოდგენილი „ქ. ხობში ასფალტ-ბეტონის ქარხანა, ინერტული მასალების სამსხვრევ-დამხარისხებელი საამქრო და ბეტონის კვანძი საქარმოო ობიექტის" გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშის მიხედვით საქმიანობის განხორციელება შესაძლებელია წინამდებარე დასკვნის III თავში მოყვანილი შენიშვნების გათვალისწინების შემთხვევაში.

სახელმწიფო ეკოლოგიური ექსპერტიზის მოქმედების ვადად განისაზღვროს 10 წელი მისი გაცემის თარიღიდან.

სახელმწიფო ეკოლოგიური ექსპერტიზის
საექსპერტო კომისიის თავმჯდომარე

ლ. გვერდწითელი

(სახელი, ვვარი, ხელმოწერა)

საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტრო

გარემოზე ზემოქმედების ნებართვა № 00020

კოდი M D 1 „12" „ივნისი" 2006 წ.

1. ნებართვის მიმღები სუბიექტი შ.პ.ს „შარა-გზამშენი პირველი"

2. საქმიანობის მიზანი ასფალტ-ბეტონის ქარხანა

3. განსახორციელებელი საქმიანობის ადგილმდებარეობა ხონის რაიონი, ქ. ხონი

4. დოკუმენტაციის მომამზადებელი ორგანიზაცია შ.პ.ს „გამა"

5. ნებართვის მისაღებად წარმოდგენილი დოკუმენტაცია გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიში

6. ნებართვის გაცემის საფუძველი სახელმწიფო ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნა N64; 24.05.06.

7. ნებართვის პირობები ნებართვა მოქმედებს დანართში მოყვანილი პირობების აუცილებელი შესრულების პირობით

გარემოზე ზემოქმედების ნებართვა გაცემულია:

საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს მიერ

საქართველოს გარემოს დაცვისა და
ბუნებრივი რესურსების სამინისტროს
უფლებამოსილი წარმომადგენელი
(გვარი, სახელი, თანამდებობა)

ი. კვაშილავა .... ლიცენზირებისა და ნებართვების დეპარტამენტის უფროსი

ბ. ა.

საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტრო
MINISTRY OF ENVIRONMENT PROTECTION AND NATURAL RESOURCES OF GEORGIA
204861943

დამკვეთი: გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტრო
დამამზადებელი: შპს „ფინანსები"
„ს.ფ.ს" რეგისტრაციის №2-0360

გარემოსდაცვითი ნებართვის პირობები

1. დამუშავდეს და დამტკიცდეს მონიტორინგის/თვითმონიტორინგის კონკრეტული გეგმა მასზე პასუხისმგებელი ფიზიკური ან/და იურიდიული პირების მითითებით.
2. დაცული იქნას სანიტარული დამცავი ზონის საზღვრები.
3. დაზუსტდეს სანიტარულ-დამცავი ზონის საზღვარი საწარმოს ამუშავების შემდეგ, გარემოს მონიტორინგის ფაქტობრივი მონაცემების საფუძველზე.
4. დამუშავდეს და დამტკიცდეს ავარიულ სიტუაციებზე რეაგირების კონკრეტული გეგმა მის შესრულებაზე პასუხისმგებელი იურიდიული ან/და ფიზიკური პირის მითითებით;
5. გათვალისწინებული იქნეს ღონისძიებები, რომლებიც უზრუნველყოფს მომსახურე პერსონალის და ტექნიკის უსაფრთხოებას.
6. საწარმოს მუშაობის პერიოდში გატარდეს ატმოსფერულ ჰაერში გაფრქვეული მავნე ნივთიერებების შემარბილებელი ღონისძიებები;
7. საქმიანობის დაწყებამდე გათვალისწინებული იქნეს წინამდებარე ნებართვის 1,2,3,4,5, და 6 პირობა.

საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის მინისტრის

KA060112713443616

ბრძანება №-315

ქ. თბილისი **24** / ივნისი / **2016** წ.

შპს „შარა-გზამშენი პირველი“-ზე გარემოზე ზემოქმედების სანებართვო მოწმობის გაცემის შესახებ

„გარემოზე ზემოქმედების ნებართვის შესახებ“ საქართველოს კანონის 21-ე მუხლისა და ამავე კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის საფუძველზე

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. გაიცეს შპს „შარა-გზამშენი პირველი“–ს ასფალტის წარმოებაზე (ქ. ხობი, სახოკიას ქ. №1) გარემოზე ზემოქმედების სანებართვო მოწმობა;
2. ნებართვის მოქმედების ვადა - უვადო;
3. დაევალოს სამინისტროს გარემოზე ზემოქმედების ნებართვების დეპარტამენტს უზრუნველყოს უწყებრივ სანებართვო რეესტრში ცვლილებების შეტანა და ახალი სანებართვო მოწმობის გაცემა საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად;
4. ბრძანების ასლი გაეგზავნოს შპს „შარა-გზამშენი პირველი“–ს;
5. ბრძანება ძალაში შევიდეს შპს „შარა-გზამშენი პირველი“–ს მიერ ამ ბრძანების გაცნობისთანავე;
6. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ზემდგომ ორგანოში-საქართველოს მთავრობაში (თბილისი, ინგოროყვას ქ. №7) ან თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (თბილისი, დ. აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ. №6) მხარის მიერ მისი ოფიციალური წესით გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში.

მინისტრი გიგლა აგულაშვილი

საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი
რესურსების დაცვის სამინისტრო

გარემოზე ზემოქმედების ნებართვა N 000211

კოდი MD1 „24" „06" 2016

1. ნებართვის მიმღები სუბიექტი
შპს „[illegible]"

2. საქმიანობის მიზანი
ასფალტის წარმოება

3. ადგილი (ადგილმდებარეობა), სადაც უნდა განხორციელდეს საქმიანობა
ქ. [illegible], [illegible] ქ. №1.

4. დოკუმენტაციის მომამზადებელი ორგანიზაცია
შპს „გამა"

5. ნებართვის მისაღებად წარმოდგენილი დოკუმენტაცია
გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიში

6. ნებართვის გაცემის საფუძველი
სახელმწიფო ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნა №64; 24.05.06.

7. ნებართვის პირობები ნებართვა მოქმედებს სახელმწიფო ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნის პირობების შესრულების შემთხვევაში.

გარემოზე ზემოქმედების ნებართვა გაცემულია საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს მიერ.

საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს
უფლებამოსილი წარმომადგენელი გარემოზე ზემოქმედების ნებართვების
(გვარი, სახელი, თანამდებობა) დეპარტამენტის უფროსი
თამარ [illegible]

ბ.ა. [signature]

დამკვეთი: საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტრო
დამამზადებელი შპს „კაბადონი +"
სფს-ს რეგისტრაციის N 26-4034